ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ს-12/14015494-16 15 04 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, გიორგი ძოწენიძის №6-ში (საკ.კოდი №01.14.02.013.002) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №614582 29.03.2013წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, გიორგი ძოწენიძის №6-ში (საკ.კოდი №01.14.02.013.002) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

+0.00 ნიშნულზე „ბ-გ“ მონაკვეთში „4-4“ ღერძზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. „3-4“ მოანკვეთში კიბის თავზე მოწყობილია კაპ.ფილა.
+35.00 ნიშნულზე შენობის შიგნით შემცირებულია საფეხურების რაოდენობა.
+38.35 ნიშნულზე „3-4“ მონაკვეთში კიბის თავზე მოსაწყობია 2 მ^2 ფილა.
„1-5“ ფასადზე -3.30 ნიშნულზე სადარბაზოს შესასვლელთან მოსაწყობია მსუბუქი გადახურვის დამჭერი სვეტები და მოაჯირი, ასევე მოაჯირი მოსაწყობია „4-5“ მონაკვეთში , 1-1 ღერძის გარეთ +21.80 ნიშნულზე აივანზე მოწყობილია ვიტრაჟი, +25.10 ნიშნულზე „2-2“ ღერძთან გაზრდილია ფანჯარა. +31.70 ნიშნულზე შეცვლილია ფანჯრების ნახატი, +35.00 ნიშნულზე ფასადის კედლის გარეთ გამოსულია რიგელები, ამავე ნიშნულზე „4-4“ ღერძზე ღიობში არ არის მოწყობილი მოაჯირი.
„5-1“ ფასადზე +0.00 ნიშნულის ქვემოთ მოწყობილია მცირე ზომის ღიობები, +8.60 ნიშნულზე „2-2“ ღერძზე მოწყობილია კონდენციონერი, +18.50 ნიშნულზე „2-2“ ღერძის მარცხნივ შეცვლილია ფანჯრის ნახატი, ასევე ნახატები შეცვლილია ფანჯრებზე +25.110 და +28.40 ნიშნულებზე. +31.70 ნიშნულის ზემოთ ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების მდებარეობა და ნახატები.
„ა-ე“ ფასადზე +0.00 ნიშნულის ქვემოთ მოწყობილია საჰაერო ღიობები, ა-ბ მონაკვეთში მოსაწყობია მოაჯირი. „გ-ე“ მონაკვეთში +5.30 ნიშნულის ზემოთ შენობის მთელ სიმაღლეზე ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრების ნახატი. +35.00 ნიშნულზე ამავე მონაკვეთში გაზრდილია ნაწილობრივ ფანჯრების გაბარიტი. +37.75 ნიშნულზე გ-გ ღერძთან ერთ ღიობში მოწყობილია გისოსი.
„ე-ა“ ფასადზე +11.90 ნიშნულზე ბ-ა მონაკვეთში გაუქმებულია ფანჯრის ღიობი. +31.70 ნიშნულზე დ-ბ მონაკვეთში შეცვლილია კარ-ფანჯრების ნახატი. +35.00 ნიშნულზე არ ფიქსირდება რიგელები, +39.48 ნიშნულზე დ-დ ღერძთან გაზრდილია ფანჯრის ღიობი.
ფასადებზე შეცვლილია კედლების ფაქტურა, კედლების ნაწილი შესალეს შესალებია ნაწილი შესაღები. , აივნებზე დამატებით მოწყობილია ლითონის სახელურები.

რაზედაც ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. „თბილისის არქიტექტურის სამსახური“-ს მიერ არ იქნა გაცემული დადებითი დასკვნა (დასკვნის №1210744 14.04.2014წ. განაცხადის ნომერი: AR1210546)

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 103[1]-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.ი.ბ.ა. „შხარა-91"-ს (დონარა დოლიძეს), ქ. თბილისში, გიორგი ძოწენიძის №6-ში (საკ.კოდი №01.14.02.013.002) მდებარე შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14015494-16 15.01.2014წ. განცხადება.
№წ-12/14015494-16 04.02.2014წ. ბრძანება.

უფროსის მოადგილე **მ. მუკჟირიშვილი**